საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო და ამორალური გარიგებების წინაპირობები, მათი ადგილი სასამართლო პრაქტიკაში და სამართლებრივი შედეგები

ნინო ერისთავი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გლაზოვი - სამართლის მაგისტრი (დოქტორანტი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ იგი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს, რომელშიც არ არის გამოყენებული სხვა ავტორის მიერ გამოცემული ან/და მომავალში გამოსაცემად წარდგენილი მასალა. ნებისმიერი საკითხი, რომელიც აღნიშნული იქნა, არის ციტირებული და დამოწმებული არსებული წესების შესაბამისად, გამომდინარე აქედან, ნაშრომი სრულად არის დაცული პლაგიატისგან.

ნინო ერისთავი, 01.07.2019

აბსტრაქტი

გარიგება ადამიანთა შორის ურთიერთობებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, რადგან იგი გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს წარმოშობს, თუმცა, შესაძლოა, ის სხვადასხვა მიზეზით გაბათილდეს. ნაშრომის ძირითადი საკვლევი თემაა გარიგების ბათილობის ერთ-ერთი საფუძველი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლი, კერძოდ, გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს, მიიჩნევა ბათილად. მუხლს აშკარაა, რომ ზოგადი ფორმულირება გააჩნია, ამიტომ ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული ორ ტერმინზე: „საჯარო წესრიგი“ და „ზნეობა“. სამეცნიერო ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის განხილვის შედეგად, საჯარო წესრიგს მივაკუთვნეთ სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, ასევე ინდივიდის თავისუფლება, ხოლო ზნეობის ნორმებში საზოგადოებაში გავრცელებული და დამკვიდრებული წეს-ჩვეულებები მოექცა.

ნაშრომში, მეტი თვალსაჩინოებისთვის, განხილულია სასამართლო პრაქტიკა, თუმცა ზოგიერთ გადაწყვეტილებებში არსებობს უზუსტობაც, კერძოდ, ერთი და იგივე ფაქტობრივი გარემოებები ერთ შემთხვევაში საჯარო წესრიგის, ხოლო მეორე შემთხვევაში ზნეობის საწინააღმდეგოდ ფასდება. სხვა შემთხვევაში კი ერთი ქმედება ორივე ცნებას უპირისპირდება. გარდა ამისა, გამოიკვეთა მოსამართლის უფლებამოსილება, არსებული კანონმდებლობის გარდა, საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს საკითხი და ესა თუ ის ქმედება შეაფასოს საჯარო წესრიგისა თუ ზნეობის საწინააღმდეგოდ.

ნაშრომი მოიცავს გარიგების ბათილობის ზემოაღნიშნულ საფუძვლებს გერმანულ და ფრანგულ კანონმდებლობაში, რადგან სწორედ გერმანული სამართლიდან იქნა „ზნეობის ნორმა“ გადმოღებული, ხოლო „საჯარო წესრიგის“ ცნება ფრანგული კანონმდებლობიდან დამკვიდრდა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სსკ-ის 54-ე მუხლი საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, რომლის შინაარსიც ზოგადია და გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად საჭიროებს დაზუსტებას, რათა საზოგადოებამ შეძლოს კონკრეტული, გაწერილი წესით იხელმძღვანელოს ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საჯარო წესრიგი, ზნეობა, ბათილი გარიგება, კონდიქცია, ვინდიკაცია.

Abstract

Deal has an important place in relationships between people while it creates certain rights and obligations, although it can be invalidated because of various reasons. Basic research theme of work is one of the bases for invalidation of the deal, 54th article of Georgian Civil Code, I.e. the deal which contradicts the law, public order and moral norms, is considered as invalidated. It is obvious that the article has general formulation, that's why attention is focused on two terms: “public order” and “morality”. In result of examination of court practice and scientific literature, we attached to public order fundamental principles of civil turn over, and also freedom of individual, and in moral norms were included habits spread and introduced in society.

In the work, for more clearness, there are examined court decisions, where we faced inaccuracies too, particularly, the same actual circumstances were estimated in one case against public order, and in other case against morality. Besides, there was revealed authority of judge to decide question not only on the basis of existed legislation but at his own discretion too and to estimate certain actions as against public order or morality.

Work includes above mentioned bases of deal invalidation in German and French legislations, because “morality norm” was copied from German legislation, and doctrine of “public order” was introduced from French legislation.

In result of research it was established that 54th article of Georgian Civil Code is quite important, contents of which is general and it needs to be specified for avoidance of unclarity, in order the society could be guided by concrete, written rule during realization of any actions.

Basic key words: public order, morality, invalid deal, condition, vindication.

„მადლობა“

მინდა მადლობა გადავუხადო, უპირველეს ყოვლისა, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი გლაზოვს, გაწეული დახმარების, გვერდში დგომის, ცოდნის გაზიარებისა და დათმობილი დროისათვის. ასევე, მადლობას ვუხდი ყველა იმ ხელისშემწყობ პირს, ვინც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა ჩემი სამეცნიერო ნაშრომის მომზადებაში.